

1.1 პოლიტიკური პოლარიზაცია

ევროკომისიის რეკომენდაცია

19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით გადაჭრას პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი, პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით.¹

ქართული ოცნების გეგმა

დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად, საქართველოს პარლამენტის ბაზაზე შეიქმნება პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი ყველა საპარლამენტო პარტიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით, რომელიც განახორციელებს პერმანენტულ მონიტორინგს და საზოგადოებას წარუდგენს ყოველკვირეულ ანგარიშს. მონიტორინგის ანგარიშში აისახება შესაბამისი რეკომენდაციები. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა და მუშაობის ფორმატი დაზუსტდება საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან კონსულტაციის საფუძველზე. დეპოლარიზაციის კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო პარტნიორების პოზიციას და მათ სამართლიან და ჯანსაღ დამოკიდებულებას მაპოლარიზებელი ქმედებების მიმართ.²

ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე

პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და პოლიტიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზი, არაერთხელ საგანგებოდ დასახელდა ევროკავშირის სხვადასხვა წარმომადგენლის მიერ.³ ევროკომისიის მიერ გაცემული

¹ ec.europa.eu (ვებ-გვერდი), Opinion on the EU membership application by Georgia. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800, 17.06.2022

² civil.ge (ვებ-გვერდი) ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/499106>, 01.07.2022

³ ghn.ge (ვებ-გვერდი) ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://www.ghn.ge/news/274171-polarizatsia-aris-mudmivi-problema-sakartvelostvis-archevnebis-kontekstshi-es-politikur-kriziss-ufro-amtsvavebs-karl-hartseli>, 09.11.2021

ambafrance.org (ვებ-გვერდი) ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://ge.ambafrance.org/ვითარება-საქართველოში>, 25.02.2021

რეკომენდაციების შესრულების შეფასების კონტექსტშიც, პოლარიზაციის მოგვარება პირველ მნიშვნელოვან საკითხად იქნა გამოყოფილი.⁴ მასასადამე, ნათელია, რომ ევროკომისიის 12 რეკომენდაციას შორის პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება რიგით პირველ რეკომენდაციად შემთხვევით არ არის დასახელებული.

პოლარიზაციის შემცირების შესახებ საუბრობს ევროკომისია საქართველოსთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მოსაზრებაშიც,⁵ აქცენტი გაკეთებულია ევროკავშირის მედიაციით მიღწეული 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების შესრულების საჭიროებაზე და მითითებულია, რომ პარტიებმა კონსენსუსის გზით უნდა იმუშაონ. იმავე მოსაზრების შემაჯამებელ ნაწილში ევროკომისიამ მიუთითა, რომ პრიორიტეტულია პირადი ინტერესებით მოქმედების აღმოფხვრა.⁶

ევროკომისიის მოსაზრებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ პოლარიზაციის შესამცირებლად გადადგმულ ნაბიჯებად შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო სხვადასხვა თემატურ სამუშაო ჯგუფებში, საერთო მოლაპარაკების მაგიდასთან პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მუშაობა. ევროკომისია აქცენტს არ აკეთებს პოლარიზაციის შესამცირებლად, სპეციალური მექანიზმის შექმნაზე.

მმართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულება

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ გეგმით გათვალისწინებული პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი არ მიემართებოდა ისეთ შინაარსობრივ ცვლილებებს, რაც პოლიტიკურ პოლარიზაციას გადალახვას გამოიწვევდა (რისკენაც მოუწოდებს ევროკომისია), „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ გეგმას კი გადაუხვია. შეიძლება ითქვას, რომ გეგმის მიხედვით, პროცესი უფრო ღია უნდა ყოფილიყო (ყოველკვირეული ანგარიშის წარდგენა საზოგადოებისთვის; მონიტორინგის ჯგუფში საერთაშორისო პარტნიორებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობა).

ქართული ოცნების გეგმის შესაბამისობა ევროკომისიის რეკომენდაციასთან

ნაცვლად ევროკომისიის მოსაზრების გაზიარებისა, „ქართული ოცნების“ გეგმა ითვალისწინებს მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით, პოლიტიკოსების მიერ გაკეთებულ ცალკეულ განცხადებებზე დაკვირვებას, შესწავლას და რეკომენდაციების მომზადებას, რაც

⁴ rustavi2.ge (ვებ-გვერდი), "პოლიტიკური პოლარიზაცია მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოში, რომელიც უნდა მოგვარდეს" - ევროკომისიის წარმომადგენელი განმარტავს, როგორ შემოწმდება საქართველოს პროგრესი დეკემბრამდე. ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/news/233253>, 07.07.2022

⁵ ec.europa.eu (ვებ-გვერდი), Opinion on Georgia's application for membership of the European Union. ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-georgias-application-membership-european-union_en, 16.06.2022

⁶ იქვე.

რეალურად პოლიტიკური პოლარიზაციის უფრო მეტად გაღრმავების გამომწვევი შეიძლება გამხდარიყო. თუმცა რეალურად მმართველი პარტიის გეგმის ეს ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური მხარის კრიტიკიდან გამომდინარე, არც განხორციელებულა და მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ, მის შესახებ.

საქართველოს პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ახორციელებს ბეჭდური, სატელევიზიო მედიის, ასევე სოციალურ ქსელებში იმ მასალების მონიტორინგს, „რომელიც სცდება პოლიტიკური კრიტიკისათვის/ოპონირებისათვის აღიარებულ საერთო ნორმებს და ლახავს ადრესატი პირის/პირთა ჯგუფის პირად არაქონებრივ უფლებებს, შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს და საზოგადოებაში სიმულვილის ელემენტებს წარმოქმნის/აღვივებს.“ დაკვირვების შედეგების გასაცნობად კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს 2022 წლის ბოლომდე. საგულისხმოა ისიც, რომ პარლამენტიდან მიღებული წერილის მიხედვით, დაინტერესების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი ამ შეხვედრის გამართვის შემდეგ გაგვიზიარებს შედეგებს.⁷ *აღნიშნული პასუხი აჩენს კითხვის ნიშნებს, ერთი მხრივ, რა ნიშნით ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა და მეორე მხრივ, რამდენად გამჭვირვალეა პროცესი.*

სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკური პოლარიზაცია კვლავ მნიშვნელოვან გამომწვევად რჩება. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა 12 პუნქტის შესრულების გზაზე. მაგალითად, საპარლამენტო ოპოზიციის უმეტესობას არ მიუღია მონაწილეობა სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. ასევე, შეფერხდა და შეიზღუდა პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობაც,⁸ მმართველი პოლიტიკური ძალა კი უგულვებელყოფს ოპოზიციური მხარის მიერ ინიცირებულ კანონის პროექტებს.⁹ პოლიტიკური პოლარიზაციის განგრძობადობა გამოიხატა იმითაც, რომ ევროკომისიის

⁷ საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი N 10628/2-7/22. 04-11-2022

⁸ radiotavisupleba.ge (ვებ-გვერდი), "ქართული ოცნება" წინააღმდეგია ISFED საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი იყოს. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31994261.html>, 18.08.2022

⁹ ამის ნათელი მაგალითია, პარტია „ლელოს“ მიერ ინიცირებული კანონის პროექტი, რომელიც, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ყველაზე მეტად პასუხობს გამოწვევებს, რაც დღეს კორუფციული თვალსაზრისით არსებობს. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/legislation/22209>, 07.06.2021

რეკომენდაციების შესასრულებლად ალტერნატიული გეგმები წარმოადგინეს, როგორც ხელისუფლებამ,¹⁰ ასევე ოპოზიციამ.¹¹

პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის, ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს წევრების არჩევა, შესაძლოა, ყოფილიყო კიდევ ერთი შესაძლებლობა, პოლარიზაციის შესამცირებლად. საქართველოს პარლამენტმა 22 დეკემბერს კენჭი უყარა სახალხო დამცველის, ცესკო-ს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებს. სამწუხაროდ, ვერცერთ თანამდებობაზე ვერცერთი წარდგენილი კანდიდატი საკანონმდებლო ორგანომ ვერ აირჩია, რომლის გამომწვევ მიზეზად მხარეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობა დასახელდა.¹² აღნიშნული პოლიტიკური პოლარიზაციის კიდევ ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს, საფრთხეს უქმნის ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებას და შესაბამისად, ხელს უწყობს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის შეფერხებას.

მმართველი პარტიის გეგმის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების შესარჩევად კენჭისყრის პროცესი 15 ნოემბრამდე უნდა გამართულიყო. მიუხედავად იმისა, რომ 32 კანდიდატმა გამოთქვა სურვილი საბჭოს არამოსამართლე წევრობაზე, სამწუხაროდ, კენჭისყრა საგაზაფხულო სესიისთვის გადავადდა. მთავარი მიზეზი ამ შემთხვევაშიც კონსენსუსის არარსებობაა.¹³

იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკურმა აქტორებმა უბრალოდ უარი თქვეს ამ ვალდებულების შესრულებაზე, რადგან შესაძლოა პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს შეცვლა არ შედის მათ პარტიულ ინტერესებში, რაც საერთო ჯამში წარმოადგენს ევროკომისიის რეკომენდაციების შეუსრულებლობის სათავეს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს.

¹⁰ civil.ge (ვებ-გვერდი) ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/499106>, 01.07.2022

¹¹ civil.ge (ვებ-გვერდი) საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/508822>, 21.09.2022

¹² mtavari.tv (ვებ-გვერდი), პარლამენტმა ვერც ომბუდსმენი, ვერც ცესკო-ს თავმჯდომარე და წევრები ვერ აირჩია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3PLWmbu>, 22.12.2022

¹³ interpressnews.ge (ვებ-გვერდი), იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის საკითხის კენჭისყრა საგაზაფხულო სესიისთვის გადავადდა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hOdCAr>, 22.12.2022